



25/06/2024



№ 00000557

ბრძანება №557

შპს "თეგეტა აკადემიაში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამოწმებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს შპს "თეგეტა აკადემიაში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი ახალი რედაქციით წინამდებარე ბრძანების დანართი №1- ის შესაბამისად.
2. გაუქმდეს შპს "თეგეტა აკადემიის" დირექტორის მიერ 2021 წლის 31 მარტს დამტკიცებული ბრძანება №O280 - შპს "თეგეტა აკადემიაში" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. დაევალოს შპს "თეგეტა აკადემიის" საქმისწარმოების სპეციალისტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
სიხარულიძე ოთარი

შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი

ქ. თბილისი

2024 წელი

მუხლი 1. დოკუმენტის შექმნის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის შექმნის მიზანია შპს „თეგეტა აკადემიის“ (შემდგომში - „აკადემია“) მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) შერჩევის პროცედურისა და პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება და დამტკიცება.

მუხლი 2. პროფესიული პროგრამის შერჩევის პროცედურა.

აკადემიის მიერ, აკადემიის მისიითა და სტრატეგიული გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სატრანსპორტო მიმართულების შესაბამისი პროგრამების განხორციელება. კონკრეტული პროგრამის შერჩევა ხდება პროგრამის სპეციფიკის, აკადემიაში არსებული მატერიალური რესურსის რაოდენობის და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობის, ასევე, სასწავლო და საწარმო პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობების გათვალისწინებით, სასწავლო გეგმების აგების თავისებურებების, ადამიანური რესურსის გათვალისწინებით. პროგრამის განხორციელების მიდგომები ფიქსირდება კონკრეტული პროგრამ(ებ)ის სასწავლო გეგმასა და აკადემიასა და შესაბამის საწარმოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

1. აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) სასწავლო პროცესის განხორციელებისთვის საჭირო **A, B, A/C და C** ტიპის სასწავლო გარემოს ფართის მაჩვენებლები. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელის ერთ სივრცეში განთავსებაც, მაგალითად, ერთ სივრცეში შეიძლება არსებობდეს ერთდროულად **A** და **B**, ან **B** და **C**, ან **A** და **C** გარემო. გარემოს მიხედვით კვოტის დათვლისას გაითვალისწინება ყველაზე მცირე მოცულობის ფართი შესაბამისი აღჭურვილობით.

- **A ტიპის სასწავლო გარემო** - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, დემონსტრირების საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში აუდიო აღჭურვილობით.
- **B ტიპის სასწავლო გარემო** - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით, დემონსტრირების საშუალებით.
- **A/C ტიპის გარემო** - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, სადაც თეორიული სწავლებისთვის განთავებულია მაგიდა/სკამი, დაფა, მასწავლებლის კომპიუტერი, ეკრანი, საჭიროების შემთხვევაში აუდიო აღჭურვილობა. გარდა ამისა, სივრცე ინტეგრირებულია ტექნიკური აღჭურვილობებით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის ინტეგრირებული მატერიალური რესურსით.
- **C ტიპის სასწავლო გარემო** - სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროგრამის განსახორციელებლად. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/პროგრამების შესაბამისად. **C** სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსით. პრაქტიკული მოდულები ან მოდულის სწავლის

შედეგები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე. შესაბამისად, აკადემიას ასევე გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პარტნიორი კომპანიის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში.

აკადემიაში დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება, რადგან ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებთან, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

ბ) პროგრამაზე დაინტერესებისა და მოთხოვნის არსებობა;

გ) კონკრეტული პროგრამის მოცულობა, განხორციელების სპეციფიკა და ხანგრძლივობა;

დ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში საწარმოსთან არსებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული სამუშაო პირობები და საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა საქმიანობისთვის ადგილების მაქსიმალური რაოდენობა;

- პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ პროფესიული სტუდენტის 8 საათიან სამუშაო დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტთან შესაბამისი ხელშეკრულება;
- აკადემიას მფლობელობაში აქვს პროგრამებით გათვალისწინებული ყველა საჭირო მატერიალური რესურსი.
- სამუშაო დაფუძნებული სწავლებისას ერთ ინსტრუქტორზე მიმაგრებულია მაქსიმუმ 2 პროფესიული სტუდენტი;
- კომპიუტერული ლაბორატორია ითვალისწინებს ერთდროულად 15 პროფესიული სტუდენტისთვის მეცადინეობის ჩატარებას;
- კონტინგენტის რაოდენობის განმსაზღვრელ მეთოდოლოგიას თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად, შეიმუშავენ აკადემიის დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერის წარდგინებით;

აკადემიას სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებების საფუძველზე, მფლობელობაში აქვს:

- ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129 - მისამართზე მდებარე შენობა-ნაგებობის მესამე და ნულ სართულზე არსებული 432 კვ.მ. ფართი (მ.შ შენობის მესამე სართული - 284 კვ.მ. და პრაქტიკული სივრცე შენობის 0 სართულზე -148 კვ.მ.).

1. პროფესიული პროგრამა - სავალი ნაწილის შეკეთება;

A გარემო - სასწავლო აუდიტორია/training room, რომელიც ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში არის დემონსტრირების ტექნიკური საშუალების გამოყენების შესაძლებლობა, მდებარეობს:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **40 კვ.მ** - სასწავლო სივრცე;

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 15 სამუშაო ადგილს;

B გარემო - სასწავლო აუდიტორია/computer lab, წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიასთან ინტეგრირებულ სასწავლო სივრცეს, მერხების მობილური განლაგების შესაძლებლობით, რომელიც აღჭურვილია სამ და ერთადგილიანი მერხებით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით და პროგრამების/მოდულების მოთხოვნების შესაბამისი 15 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების თანამედროვე საშუალებით;

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **26. 628 კვ.მ**;

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს 15 სამუშაო ადგილს;

A და C გარემო - სასწავლო/პრაქტიკული სივრცე / technical lab - თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მესამე სართულზე, მასში ინტეგრირებულია ტექნიკური აღჭურვილობებით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის ინტეგრირებული მატერიალური რესურსი.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, (**51. 230 კვ.მ. და 148 კვ.მ.**);

- პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - **16-18**;

შესაბამისად, სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება 15-ით.

2. პროფესიული პროგრამა - ძრავის შეკეთება;

A გარემო - სასწავლო აუდიტორია/training room, რომელიც ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში არის დემონსტრირების ტექნიკური საშუალების გამოყენების შესაძლებლობა, მდებარეობს:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **40 კვ.მ** - სასწავლო სივრცე;

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;

B გარემო - სასწავლო აუდიტორია/ computer lab, წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიასთან ინტეგრირებულ სასწავლო სივრცეს, მერხების მობილური განლაგების შესაძლებლობით, რომელიც აღჭურვილია სამ და ერთადგილიანი მერხებით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით და პროგრამების/მოდულების მოთხოვნების შესაბამისი 15 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების თანამედროვე საშუალებით;

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **26. 628 კვ.მ.**

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;

A და C გარემო - სასწავლო /პრაქტიკული სივრცე / technical lab- თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მესამე სართულზე, მასში ინტეგრირებულია ტექნიკური აღჭურვილობებით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის ინტეგრირებული მატერიალური რესურსი.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, (**51. 230 კვ.მ.** და **148 კვ.მ.**)

- პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;

- პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - **18-19**;

შესაბამისად, ძრავის შეკეთების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება **15-ით**.

3. პროფესიული პროგრამა - ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება;

A გარემო - სასწავლო აუდიტორია/training room, რომელიც ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში არის დემონსტრირების ტექნიკური საშუალების გამოყენების შესაძლებლობა მდებარეობს:

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **40 კვ.მ** - სასწავლო სივრცე;

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;

B გარემო - სასწავლო აუდიტორია/computer lab, წარმოადგენს კომპიუტერულ ლაბორატორიასთან ინტეგრირებულ სასწავლო სივრცეს, მერხების მობილური განლაგების შესაძლებლობით, რომელიც აღჭურვილია სამ და ერთადგილიანი მერხებით, შესაბამისი რაოდენობის სკამებით და პროგრამების/მოდულების მოთხოვნების შესაბამისი 15 კომპიუტერით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების თანამედროვე საშუალებით;

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, შენობის შიგნით, მესამე სართულზე - **26.628 კვ.მ.**

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;

A და C გარემო - სასწავლო /პრაქტიკული სივრცე / technical lab- თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის მესამე სართულზე, მასში ინტეგრირებულია ტექნიკური აღჭურვილობებით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის ინტეგრირებული მატერიალური რესურსი.

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N 129, (**51. 230** კვ.მ და **148** კვ.მ.)

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით ხორციელდება და თეგეტა აკადემიასა და შესაბამის საწარმოს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს პრაქტიკულ გარემოში სტუდენტთა გადნაწილებას და რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან პრაქტიკულ გარემოში საწარმოს განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი სამუშაო გამოცდილების მქონე ინსტრუქტორები.

- პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა შეადგენს **15** სამუშაო ადგილს;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - 10-12;
- ინსტრუქტორების რაოდენობა - 10;

შესაბამისად, ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტი განისაზღვრება 15-ით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

შპს „თეგეტა აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევის პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესის“ გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.